MES 6 23 0000585242

23/05/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;

ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ინოვაციების სკოლა
ქრისტინე კაპანაძე - სკოლის დირექტორი

ა(ა)იპ - კავკასიის ფრანგული სკოლა
კამელ იასილი - სკოლის დირექტორი
ლეტისია ჰერნანდესი - სკოლის მმართველი კომიტეტის თავმჯდომარე
თათია ზარქუა - სკოლის იურისტი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

შპს ინოვაციების სკოლა
მაკა ჭიაბერაშვილი
ეკატერინე ვეკუა

ა(ა)იპ - კავკასიის ფრანგული სკოლა
ქეთევან ბაცანკალაშვილი
მაკა ნადარეიშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2023 წლის 05 მაისს

ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. „შპს აისის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 01 სექტემბრის N984118 გადაწყვეტილებასა და 2022 წლის 01 სექტემბრის N983775 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმის მეხუთე ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს ინოვაციების სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - კავკასიის ფრანგული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და, შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. „შპს აისის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზ აციის საბჭოს 2022 წლის 01 სექტემბრის N984118 გადაწყვეტილებასა და 2022 წლის 01 სექტემბრის N983775 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმის მეხუთე ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ საკითხის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს სხდომაზე განმარტა, რომ „შპს აისის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 01 სექტემბრის N984118 გადაწყვეტილებასა და 2022 წლის 01 სექტემბრის N983775 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმის მეხუთე ნაწილში ფიქსირდებოდა ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტში მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ის ნაცვლად შპს აისს მოსწავლეთა

ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული ჰქონდა 190-ით. შპს აისის ავტორიზაციის შესახებ საკითხი საბჭომ განიხილა 2022 წლის 10 აგვისტოს გამართულ საბჭოს სხდომაზე, რა დროსაც, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებისა და დამატებით მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ წერილის საფუძველზე საბჭომ იმსჯელა და შპს აისს მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განუსაზღვრა 300-ით. შესაბამისად, მიზანშეწონილი იყო ცვლილება განხორციელებულიყო გადაწყვეტილების მეორე პუნქტსა და სხდომის ოქმის მეხუთე ნაწილში და გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო საბჭოს სხდომის ჩატარების დღეს, 05 მაისს.
საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.
შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „შპს აისის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 01 სექტემბრის N984118 გადაწყვეტილებასა და 2022 წლის 01 სექტემბრის N983775 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმის მეხუთე ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, „შპს აისის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 01 სექტემბრის N984118 გადაწყვეტილების მეორე პუნქტში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: “2. შპს აისს მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით“. 2022 წლის 01 სექტემბრის N983775 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმის მეხუთე ნაწილში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: “შპს აისს (ს/კ: 204951481) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით“. აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 05 მაისი.

საბჭოს სხდომას 15:10 საათზე შემოუერთდნენ საბჭოს წევრები, ზვიად გოგუაძე და პეტრე ბაბილუა.

2. შპს ინოვაციების სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მაკა ჭიაბერაშვილმა და ეკატერინე ვეკუამ. ექსპერტმა, მაკა ჭიაბერაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 27-28 თებერვალს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ რუსთავის მე-7 მ/რ-ში და იყო ახალდაფუძნებული.
ექსპერტმა, მაკა ჭიაბერაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები კარგად იყო წარმოდგენილი და დაცული იყო სტრუქტურული თავისებურებები. ექსპერტმა, ასევე, ხაზი გაუსვა სხვაობებს, რომელიც აღინიშნებოდა საათობრივ ბადეში, კონკრეტულად კი, პირველი კლასის მე-2 სემესტრში ინგლისურ ენას დამატებული ჰქონდა ერთი საათი, II-XII კლასებში დამატებული იყო ერთი საათი სასწავლო წლის განმავლობაში, ასევე სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა არჩევითი საგნები საშუალო საფეხურზე.
ექსპერტმა, ისაუბრა არაფორმალური განათლების შესახებ. სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა საექსკურსიო სასწავლო გეგმა, სადაც დეტალურად იყო გამოყოფილი ექსკურსიის მიზნები და აქტივობები, რომლებსაც დადებითი გავლენა უნდა მოეხდინა ფორმალურ სწავლებაზე. დადებითად შეფასდა სკოლის მიერ გაწერილი ჯანსაღი ცხოვრების წესის პროგრამა. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იკვეთებოდა სადამრიგებლო ინსტიტუტის მიზნობრივი გეგმები, ასევე, სკოლაში აქტიურად იგეგმებოდა კლუბების ამოქმედება, რომლებიც არ იქნებოდა სავალდებულო ხასიათის. ექსპერტმა, ასევე აღნიშნა, რომ მოსწავლეთა მხარდასაჭერად და სწავლა-სწავლების მიზნების უზრუნველსაყოფად, სკოლაში ფუნქციონირებდა 4 საგნობრივი კათედრა, დებულებით გაწერილი იყო მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობა და სკოლა უზრუნველყოფდა ინკლუზიური განათლების არსებობას.
ექსპერტმა, მაკა ჭიაბერაშვილმა ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობაზე, რომელიც ასახული იყო დასკვნაში. კერძოდ, სასკოლო კურიკულუმი არ იყო შესაბამისობაში ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტთან. კურიკულუმში არ იყო გაწერილი საგნის ფარგლებში მისაღწევი გრძელვადიანი შედეგი (სამიზნე ცნება) და მისი შესაბამისი კომპლექსური დავალებები. თუმცა, ექსპერტის თქმით, სკოლამ აღმოფხვრა აღნიშნული შეუსაბამობა და ხელშეკრულება გააფორმა ზოგადი განათლების საკითხების ექსპერტთან, რომელთან ერთადაც სკოლაში დაინერგა კურიკულუმების შემუშავების სისტემა.
ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით, ექსპერტმა, მაკა ჭიაბერაშვილმა განაცხადა, რომ სკოლას ჰყავდა დირექტორი, დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში და ხარისხის მართვის მიმართულებით, დირექტორის მოადგილე სამეურნეო მიმართულებით და ბუღალტერი. სკოლას დასაქმებული ჰყავდა 19 მასწავლებელი, მათ შორის, 17 უფროსი, 1 წამყვანი და 1 სტატუსის გარეშე პირობადადებული ხელშეკრულებით, ასევე სკოლას ჰყავდა ახალგაზრდული მუშაკი - არაფორმალური განათლების კოორდინატორი. ვიზიტის პერიოდში ვაკანტური იყო 6 პოზიცია.
ექსპერტმა, მაკა ჭიაბერაშვილმა, ისაუბრა დაწესებულების მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა 2 ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რაც იურიდიულად გამართლებული იყო. პირველი ამონაწერი იყო მიწის ფართზე, რომლის სრული ფართობი იყო 2206 კვ.მ, ხოლო მეორე ამონაწერი იყო შენობის, რომლის საერთო ფართი 1244 კვ.მ-ს შეადგენდა. შენობა იყო სამსართულიანი და ჰქონდა სხვენი, რომლის ფართობიც 97.42 კვ.მ-ს შეადგენდა. მეიჯარე იყო შპს სკოლა ჩირაღდანი და მოიჯარე შპს ინოვაციების სკოლა, იჯარის ვადად საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითებული იყო 10 წელი. ექსპერტმა ისაუბრა სკოლის ფასადზე და ფასადის სამომავლო პროექტზე. სკოლა დიდ მნიშვნელობას აქცევდა ბრენდირებას, შესაბამისად წარმოდგენილი ჰქონდა სამომავლო ფასადის მაკეტები. სკოლის შენობაში არ იყო დასრულებული სარემონტო სამუშაოები, თუმცა ეს არ ეხებოდა იმ ფართს,

სადაც სასწავლო პროცესი უნდა წარმართულიყო. სარემონტო ფართი გისოსებით იყო გადაკეტილი, რომ არ ყოფილიყო მოსწავლისთვის საფრთხის შემცველი.
ექსპერტმა, მაკა ჭიაბერაშვილმა განმარტა, რომ სკოლაში იყო 14 საკლასო ოთახი, 180 მერხი, 14 დაფა და სხვა სასკოლო ინვენტარი, რომელიც სრულად უზრუნველყოფდა დაწესებულების მიერ მოთხოვნილ მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას. სკოლას ჰქონდა კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, პროექტორი, ქსეროქსი, ბიბლიოთეკა და სამედიცინო კაბინეტი. რაც შეეხებოდა სკოლის შიდა და გარე ინფრასტრუქტურას, სკოლას ჰქონდა გარე მინი ფეხბურთის სტადიონი, ფოიეში განთავსებული იყო ჩოგბურთის მაგიდა, მრავალფეროვანი სპორტული ინვენტარი, რეკრეაციული სივრცე ეზოში. სკოლას გაწერილი ჰქონდა ჯანსაღი ცხოვრების წესის პროგრამა, რომლის თანახმადაც, უამინდობის დროს საკლასო ოთახებში ხდებოდა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილზე თეორიული მასალის ახსნა. სტრატეგიულ გეგმაში ასახული იყო, რომ 2023 წლის ბოლომდე სკოლაში იქნებოდა შიდა სპორტული დარბაზი. სკოლამ ვიზიტის პერიოდში გააფორმა ხელშეკრულება საცურაო აუზის წარმომადგენლებთან. ექსპერტმა აღნიშნა, რომ თავდაპირველად სკოლას არ ჰქონდა მინი სტადიონი, თუმცა ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება სპორტულ დარბაზთან, რომელსაც ეწვივნენ ექსპერტები. რაც შეეხებოდა ადაპტირებულ გარემოს, სკოლას ჰქონდა პანდუსი და ადაპტირებული სველი წერტილი.
ექსპერტმა, მაკა ჭიაბერაშვილმა ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე, რომელიც შეეხებოდა საბიბლიოთეკო წესით სახელმძღვანელოების დამუშავებას, განახლებული სასკოლო დოკუმენტაციის სკოლის ვებ-გვერდზე ატვირთვას და მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმის ცალკე სტრატეგიულ მიზნად გაწერას. ექსპერტის თქმით, აღნიშნული რეკომენდაციები სკოლის მხრიდან გაზიარებულ იქნა ვიზიტის პერიოდშივე.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს. კითხვა ეხებოდა გარე სტადიონის უსაფრთხოების ნორმებსა და კურიკულუმს, თუ რა ნაბიჯები გადადგა სკოლის ადმინისტრაციამ კურიკულუმში ცვლილებების შესატანად, ასევე რა მოსაზრებით მოხდა კურიკულუმის ისე შედგენა, რომ არ იყო გათვალისწინებული ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცნებები. ექსპერტმა, მაკა ჭიაბერაშვილმა კურიკულუმთან დაკავშირებით დაამატა, რომ სკოლა არ ფუნქციონირებდა და სექტემბრამდე ჰქონდათ დრო, რომ კურიკულუმი შესაბამისობაში მოსულიყო ეროვნული სასწავლო გეგმით გაწერილ სტანდარტებთან. სკოლის დირექტორმა, ქრისტინე კაპანაძემ აღნიშნა, რომ სკოლის მენეჯმენტმა ახალ მასწავლებლებთან ერთად შეადგინა კურიკულუმი, რაც საკმაოდ დიდი გამოწვევა იყო მათთვის. სკოლამ დაიქირავა ექსპერტი, რომელმაც დიდი შრომა გასწია კურიკულუმის განვითარებისთვის. სკოლის დირექტორმა ასევე დაამატა, რომ უკვე დაგეგმილი იყო მასწავლებელთა სამ ეტაპიანი ტრენინგები, რომ მომხდარიყო კურიკულუმების თავიდან გადახედვა და განვითარება. ჯანსაღი ცხოვრების წესთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სკოლისთვის ის იყო ერთ-ერთი პრიორიტეტი და ესტონური პროგრამა იყო გადმოთარგმნილი. ფიზიკური დატვირთვის გარდა, გათვალისწინებული იყო ემოციური მართვა, თვითდალხენის პრაქტიკები და სხვა.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, თუ როგორ მოახერხეს არჩევითი საგნების არჩევა მოსწავლეთა ჩართულობის გარეშე.
სკოლის დირექტორმა, ქრისტინე კაპანაძემ განმარტა, რომ არჩევითი საგნების არჩევა განხორციელდა სხვადასხვა კვლევების საფუძველზე, რომელიც შეეხებოდა მომავლის უნარ-ჩვევებს.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, თუ რატომ არ იყო საათობრივ ბადეში სამოქალაქო განათლება გათვალისწინებული სავალდებულო საგნად და რა მექანიზმი ჰქონდა სკოლას იმისა, რომ კურიკულუმის ცნებები ყოფილიყო

დამუშავებული. სკოლის იურისტმა განმარტა, რომ სასკოლო კურიკულუმებში გათვალისწინებული იყო საგანი სამოქალაქო განათლება.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა აღნიშნული კურიკულუმის შედგენაში მონაწილეობდნენ თუ არა მასწავლებლები. სკოლის დირექტორმა, ქრისტინე კაპანაძემ დაადასტურა, რომ საწყისი კურიკულუმის შემუშავებაში მასწავლებლები იღებდნენ მონაწილეობას, შესაბამის ექსპერტთან ერთად.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, რომ დაედასტურებინათ არსებობდა თუ არა იპოთეკარებთან რაიმე სახის დავა. სკოლის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იპოთეკარებთან დავა არ ჰქონდათ.
საბჭომ იმსჯელა, რომ ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, დაწესებულებაში განხორციელებულიყო მონიტორინგი მოქმედი ოთხივე სტანდარტის მიხედვით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 180 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ინოვაციების სკოლის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 180-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ინოვციების სკოლას (ს/კ: 416372696) მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 180- ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვროს ქართული ენა.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, დაწესებულებაში მონიტორინგი განხორციელებულიყო 2025 – 2026 სასწავლო წლის დაწყებამდე, მოქმედი ოთხი სტანდარტის მიხედვით.

3. ა(ა)იპ - კავკასიის ფრანგული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ

აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა და მაკა ნადარეიშვილმა. ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 23 და 24 მარტს. ექსპერტმა, ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა ფრანგული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც აღიარებული იყო საზღვარგარეთ ფრანგული სწავლების სააგენტოს და საფრანგეთის განათლების და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ. სკოლაში ფრანგულ პროგრამასთან ერთად ისწავლებოდა ქართული ენა და ლიტერატურა და საქართველოს ისტორია. სკოლის ერთ-ერთი ძლიერი მხარე იყო მოსწავლეთა ინდივიდუალური მხარდაჭერა. დაწესებულებაში კონკრეტული მოსწავლის შესაბამისად იქმნებოდა პერსონალიზირებული სასწავლო პროგრამა.

ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა ისაუბრა ა(ა)იპ - კავკასიის ფრანგული სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რომელიც ხორციელდებოდა 2017 წლის 31 აგვისტოს საქართველოს მთავრობასა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე. სწავლების ძირითადი ენა გახლდათ ფრანგული, თუმცა სკოლაში ასევე ისწავლებოდა ქართული, ინგლისური, ესპანური, გერმანული და რუსული ენები, ხოლო ქართული ენის სწავლებას ორი სტატუსი ჰქონდა - ქართული, როგორც მშობლიური ენა და ქართული, როგორც უცხოური ენა. სწავლება მიმდინარეობდა განსხვავებული პროგრამებითა და საათობრივი ბადით, განსხვავებული იყო მოსწავლეთა შეფასების სისტემა, რომელიც შეთანხმებული ჰქონდა სკოლას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. გარდა იმ სავალდებულო სგანებისა, რომელიც ისწავლებოდა, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებებს, მათ შორის, ხელოვნებას, სიმღერას, მეცნიერებისა და დებატების კლუბებს, სპორტულ თამაშებს, ცურვას და ა.შ.

დაწესებულების ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელებისათვის შესაბამისი აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე ტექნიკური პერსონალი. პედაგოგები შერჩეული იყვნენ ორი მიმართულებით - საქართველოს მოქალაქეები შერჩეულნი იყვნენ ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ხოლო იმ პედაგოგების შერჩევა, რომლებიც არ იყვნენ საქართელოს მოქალაქეები, ხორციელდებოდა საზღვარგარეთ არსებული ფრანგულენოვანი სპეციალური დასაქმების ვებ-გვერდის საშუალებით. სკოლას ჰქონდა საინტერესო მმართველობითი ფორმა, მაგალითად, სკოლას მართავდა მმართველი კომიტეტი, რომელიც შედგებოდა სამი მუდმივი და სამი დროებითი წევრისგან, რომელიც აუცილებლად მოიცავდა მშობლებსაც.

ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა ისაუბრა სკოლის მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სკოლა მდებარეობდა ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირზე N71ბ-ში, ვაკის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე, ეკოლოგიურად სუფთა, ბავშვზე ორიენტირებულ გარემოში. დაწესებულებას ჰქონდა ყველა ის რეკრეაციული და სპორტული სივრცე, რაც მოსწავლის ჯანსაღი განვითარებისთვის იყო მნიშვნელოვანი. სკოლას ჰქონდა ეზო, გარე სპორტული მოედანი, რომლის განახლებაც ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა, შიდა სპორტული დარბაზი და კეთილმოწყობილი საცურაო აუზი. ექსპერტმა ყურადღება

გაამახვილა შიდა ორანჟერეასა და საკლასო ოთახებზე. სკოლაში განთავსებული იყო კომპიუტერული, ბიოლოგია-გეოლოგიის, ფიზიკა-ქიმიის და თანამედროვე ტექნოლოგიების ლაბორატორიები, მემორიალური კაბინეტი, რომელიც საქართველოსა და საფრანგეთის ურთიერთობებს და ეროვნულ დემოკრატიულ რესპუბლიკას ეძღვნებოდა. სკოლას ჰქონდა ბიბლიოთეკა, რომელშიც დაახლოებით 25000-მდე წიგნადი ფონდი იყო წარმოდგენილი. სკოლის სამედიცინო ოთახი აღჭურვილი იყო შესაბამისი ინვენტარით და სკოლას ჰყავდა კვალიფიციური ექიმი, რომელიც აკმაყოფილებდა კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას, რომელსაც ელექტრონულ პორტალზე შეჰყავდა ყველა სახის ინფორმაცია და ეს ყველაფერი მშობლებისთვის იყო სრულიად ხელმისაწვდომი. ვინაიდან სკოლის მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა იყო 700, ექსპერტებმა გასცეს რეკომენაცია, რომ ექიმთან ერთად სკოლას უნდა ჰყოლოდა ექთანიც.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრმა, ბეტრა ბაბილუამ კითხვით მიმართა ექსპერტებს, ხომ არ ჰქონდათ ქართველ მასწავლებლებს რაიმე სახის შეზღუდვა, რადგან დასკვნაში საკმაოდ დიდი განსხვავება იყო დაფიქსირებული ქართველი და უცხოელი მასწავლებლების ანაზღაურებას შორის და აინტერესებდა, თუ როგორ აიხსნებოდა ეს ფაქტი და რა პრინციპით იყო აღნიშნული დარეგულირებული. ექსპერტმა, მაკა ნადარეიშვილმა განმარტა, რომ მასწავლებლები საფეხურებს იცვლიდნენ გარკვეული გარე დაკვირვების საფუძველზე. აღნიშნული დამოკიდებული იყო საგნობრივ ექსპერტზე, რადგან ქართული ენის მასწავლებელს რთულად დააკვირდებოდა გარე ინსპექტორი, რომელიც საფრანგეთიდან ჩამოდიოდა. ამიტომ, იმ საგნების მასწავლებლებს, რომლებიც ქართულად ასწავლიდნენ, სკოლა სთავაზობდა ქართულ სქემას, ხოლო ის, მასწავლებლები, რომლებიც უცხო ენაზე ასწავლიდნენ, ნელ-ნელა გადადიოდნენ ახალ საფეხურებზე.

საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ კითხვით მიმართა ექსპერტებს, ჰქონდა თუ არა მასწავლებლის კომპეტენციის განსაზღვრისას მნიშვნელობა იმას, თუ რომელი ქვეყნის დიპლომი ექნებოდა მას. ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა განმარტა, რომ ვინაიდან ეშელონებში წინსვლა მკვეთრად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ აკვირდებოდა საფრანგეთიდან უზრუნველყოფილი გარე დამკვირვებელი და იმაზე, თუ რა ტიპის ტრენინგებსა და სემინარებს ესწრებოდა მასწავლებელი, რომელიც ასევე ფრანგულ ენაზე იყო განხორციელებული, იმის მიხედვით ხდებოდა იმ მასწავლებლების კატეგორიზაცია. გარდა ამისა, იმ მასწავლებლებს, რომლებიც არ ფლობდნენ ფრანგულ ენას, სკოლა მუდმივად სთავაზობდა ენის შემსწავლელ უფასო კურსებს.

საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი დაინტერესდა, მოსწავლეთა რა ტიპის კონტიგენტზე იყო გათვლილი სკოლა. ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლაში დაახლოებით 30% ქართულენოვანი მოსწავლე სწავლობდა, მესამედი იყო ფრანგი და 30% იყვნენ სხვადასხვა ეროვნებისა და კულტურის წარმომადგენლები. მისი თქმით, ძირითადი მომართვიანობა დიპლომატიური კორპუსის ოჯახის წევრებისგან იყო.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს, თუ რამდენად აფორმებდა სკოლა უვადო ხელშეკრულებებს დასაქმებულ პირებთან და ეწეოდნენ თუ არა საქმიანობას მასწავლებლები ზაფხულის განმავლობაში, ვინაიდან მათი შვებულება განისაზღვრებოდა არანაკლებ 24 დღით, როდესაც საჯარო სკოლების მასწავლებლებისთვის გათვლილი იყო 40 დღე. ექსპერტმა, მაკა ნადარეიშვილმა განმარტა, რომ მასწავლებლები მუშაობას იწყებდნენ ბევრად ადრე, სანამ დაიწყებოდა სასწავლო პროცესი და გეგმავდნენ შესასრულებელ სამუშაოს, რაც საკმაოდ შრომატევადი პროცესი იყო. ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა დაამატა, რომ მასწავლებლების დროის და პირადი სივრცის მიმართ ძალიან დიდი პატივისცემა შეიმჩნეოდა სკოლაში. სკოლის იურისტმა, თათია ზარქუამ განმარტა, რომ სკოლის ყველა მასწავლებელთან გაფორმებული იყო შრომის კოდექსის დაცვით ხელშეკრულებები, ნაწილთან უვადოდ, ხოლო ნაწილთან ერთწლიანი და ორწლიანი. მოკლევადიანი კონტრაქტის დროს შეთანხმებულები

იყვნენ გარკვეულ პირობებზე, თუმცა ეს არ გულისხმობდა იმას, რომ ერთი წლის გასვლის შემდეგ მასწავლებლები სამსახურიდან გაეთავისუფლებინათ. რაც შეეხებოდა შვებულებებს, გამომდინარე იქიდან, რომ მასწავლებლები პროფესიული განვითარების მიზნით იგზავნებოდნენ საფრანგეთში ან ბალტიისპირეთის რომელიმე ქვეყანაში, მათი შვებულება განისაზღვრებოდა არანაკლებ 24 სამუშაო დღით.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ აღნიშნა, რომ თუ ყოველწლიურად იცვლებოდა ხელშეკრულების პირობები და ამ მიზნით იყო ერთწლიანი ხელშეკრულებები გაფორმებული მასწავლებლებთან, იყო თუ არა იმის საშიშროება, რომ შეცვლილიყო ხელშეკრულების პირობა და იძულების ტოლფასი შეიძლებოდა გამხდარიყო, ვინაიდან მოკლევადიანი ხელშეკრულებები არ იძლეოდა სტაბილურობის გარანტიას. დავით მალაზონია ასევე, დაინტერესდა, თუ რასთან იყო დაკავშირებული მოლოდინი იმისა, რომ რადიკალურად გაიზრდებოდა ფრანგულენოვან სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა. სკოლის იურისტმა, თათია ზარქუამ განმარტა, რომ სკოლის მხრიდან არ ჰქონდა ადგილი ხელშეკრულებების პირობების ცვლილებას. მან დაამატა, რომ ყოველწლიურად დაახლოებით 60 მოსწავლე ემატებოდა სკოლას, შესაბამისად იზრდებოდა მოთხოვნა.
სკოლის დირექტორმა, კამელ იასილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს, საბჭოს წევრებსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს თანამშრომლობისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვა არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 700 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - კავკასიის ფრანგული სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 700 - ით განსაზღვრის საკითხი.
დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 28 სექტემბრის N104 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2017 წლის 28 სექტემბერს 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2023 წლის 28 სექტემბერს. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ - კავკასიის ფრანგულ სკოლას (ს/კ: 204517077) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა

ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 700 - ით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 28 სექტემბერი. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვროს ქართული და ფრანგული ენა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 16:35 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით





სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა